ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5479302

ნომერი: AR1834818

თარიღი : 29.06.2021

გაცემის თარიღი : 30.06.2021

გაცნობის თარიღი : 30.06.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 59 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 41სა და N59-ს შორის, , ქუჩა კოსტავას N59 , ქუჩა კოსტავას 41/ბოცვაძე (ყოფ.ადლერი) N2.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა თაბაგარი პ/ნ 01001012443
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 15 ბ. 88

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 9662
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.09.2007

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ელგუჯა ცინცაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს გრანატ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405068000
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შომუროდ ილიასოვ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: AA2908332 (უზბეკეთი)

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4544.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 3260.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 26163.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 456.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 895.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1096.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 864.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 12892.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2121.0
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 276.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 156587.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 118453.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 38134.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 51.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 39.46
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 11.54
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3 260,64 მ2 = 0,7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 18 203,53 მ2 = 4,0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 233,54მ2 = 0,1
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 7563.0

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3284235
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.05.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახრუმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 29 ივნისის R1834818 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N59/კოსტავას ქ. N59-სა და კოსტავას ქ. N41-ს შორის , კოსტავას ქ. N59, კოსტავას ქ.N41/ბოცვაძის (ყოფ. ადლერი) N2-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ– სამართლებრივი აქტი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება

წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ– სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი(მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. სამსახურმა განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით უკვე იმსჯელა 2021 წლის 14 აპრილის AR1817049 განცხადებით და სამსახურის 2021 წლის 26 აპრილის № 5382652 ბრძანებით გეთქვათ უარი.

ვინაიდან მიმდინარე განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება ახლად აღმოჩენილი ან/და ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს საკითხის არსებითად განხილვის საფუძველი, შესაბამისად სამსახური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას 2021 წლის 29 ივნისის R1834818 განცხადების განხილაზე უარის თქმის შესახებ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.